ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2017 წლის 7 სექტემბრის №10/9670 წერილის თანახმად გიგზავნით საკრებულოს წევრის 2017 წლის სამუშაო ანგარიშს დანართის სახით.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

თავმჯდომარის მოადგილე:

მალხაზ მჭედლიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლთა რაოდენობა 3 ფურცელი
№10/9670 11.10.2017.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს წევრის

მალხაზ მჭედლიშვილის

2017 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს მე-12 და მე-13 მუხლების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 11 და საკრებულოს 11 სხდომის მუშაობაში.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 68 დადგენილებასა და საკრებულოს 420 განკარგულების მიღებაში;

3. ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 12 და სარევიზიო კომისიის 3 სხდომის მუშაობაში;

4. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსათვის" მიერ გამართულ 9 სხდომის მუშაობაში;

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 4 სხდომის მუშაობაში, სადაც განხილულ იქნა 56 საკითხი, აქედან დადებითი დეკომენდაცია მიეცა 32 საკითხს, 10 შეფასდა უარყოფითად, ხოლო 14 საკითხი გადაიდო შემდგომი განხილვისათვის.

6. ქალაქ თბილისის ტერიტორიების განაშენიანებისა და გამოყენების რეგულირების საკითხთა საბჭოს მუშაობაში, სადაც 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის სექტემბრის ჩათვლით დავესწარი 52 კომისიის სხდომას. სულ განხილულ იქნა 3426 საკითხი, აქედან თანხმობა გაიცა 2073 მოთხოვნაზე, 1317 შეფასდა უარყოფითად, ხოლო 36 საკითხზე გაიცა შუალედური პასუხი.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის ფარგლებში შევხვდი და მოვუსმინე 80 მოქალაქეს; შევისწავლე და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება მოვახდინე მოქალაქეთა 10 განცხადებაზე.

ვესწრებოდი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის და ასევე დედაქალაქის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

თავმჯდომარის მოადგილე :

მალხაზ მჭედლიშვილი